



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ფარმაცევტული ანალიზი, მაგისტრატურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 30.07.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11.08.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328701
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფარმაცევტული ანალიზი
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფარმაცევტული ანალიზის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფარმაცევტული ანალიზი Pharmaceutical Analysis - 0916
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 7 ნოემბერი გადაწყვეტლება N199

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა ჯავახია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **ფარმაცევტული ანალიზი**, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა 2019 წლის 7 ნოემბერს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N 199 გადაწყვეტილება)

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესი შედგა 2019 წლის 17-18 სექტემბერს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს N744 ბრძანების თანახმად. ექსპერტთა ჯგუფი: დოქტ. ნ. შაშიაშვილი, სტუდენტი ექსპერტი ლ. ბოკუჩავა.

ექსპერტთა კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის სრული შესაბამისობა აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან. ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა რეკომენდაციები, მხოლოდ პროგრამის განმავითარებელი რჩევები, რომელთაგან ნაწილის რეალიზაცია შესაძლებელი გახდა ეტაპობრივად. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 7 წლით.

იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ (10.04.2019) ბრძანების N3 დანართის თანახმად განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტიზის მიზნით წარადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოში გარდა პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსებისა, უსდ-მ წარადგინა შესაბამისი ანგარიშის ფორმა მტკიცებულებების პაკეტით (7 საქალაქო). შესაბამისობის ანგარიშში წარმოდგენილი კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი და 2021 წლის 28 იანვარს N8 თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა დანართი დოკუმენტებით (მათ შორის: სასწავლო კურსების სილაბუსები, აკადემიური პერსონალის რეზიუმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, მემორანდუმები პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან). არსებული მოცემულობის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა ხედვები საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის მიმართებით.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ: პროგრამის ხანგრძლივობა - 2 წელი; პროგრამის მოცულობა - 120 ECTS-ის კრედიტი (აკადემიური წელი - 60 კრედიტი, სემესტრი - 30 კრედიტი); 1 კრედიტი = 30 სთ (მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს).

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 8 21 0000706223, 13/07/2021 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: მაკა ჯავახია (თავმჯდომარე); ნინო ქიმერიძე (წევრი) განახორციელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე **ფარმაცევტული ანალიზი** არაგვემეორე მონიტორინგი. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის სამსახურებთან დათქმის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

▪ **რეკომენდაციები**

1.2 კომპონენტი

- ✓ სწავლის შედეგების ქვერუბრიკა **ცოდნა-გაცნობიერება** ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მეშვიდე დონის შესაბამისი გაზომვადი კრიტერიუმების საშუალებით.

2.3 კომპონენტი

- ✓ მოვიდეს უცხოური ენის სასწავლო კურსის სილაბუსში (რომლის სახელწოდება უნდა იყოს დარგობრივი უცხოური ენა და არა სპეციალური!) წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

4.4. კომპონენტი

- ✓ მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებლად იქნეს გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, ან სულ მცირე გაჩნდეს ჩანაწერი საკუთრივ კურიკულუმის ტექსტში.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.3 კომპონენტი

- ✓ სასურველია, სილაბუსებში აისახოს საკონსულტაციო საათები

2.6 კომპონენტი

- ✓ სასურველია პროგრამაში მითითებული იყოს პლაგიატის აღმოფხვრასთან დაკავშირებული საკითხებები

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობის შემდგომ დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს ძირეული ცვლილება არ განუცდია. შესაბამისობის ანგარიშში წარმოდგენილი იყო სააკრედიტაციოდ 2021 წლის 28 იანვრის N8 თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა. აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებით წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უმაღლესი განათლების მე-7 დონე, ის პირდაპირ ბმაშია უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებთან, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს: სამაგისტრო პროგრამის - „ფარმაცევტული ანალიზი“ მიზანს წარმოადგენს სათანადო კვალიფიკაციის ფარმაცევტ-ანალიტიკოსის მომზადება, რომელიც დააკმაყოფილებს ჯანმო-ს, GMP-ის, ISO-ს მოთხოვნებს ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხის მიმართ, იხელმძღვანელებს GLP -ის პრინციპებით და შეძლებს: ფარმაცევტული სრულყოფილი ანალიზის განხორციელებას; ქმედით ღნისძიებების წარმოებას ნარკომანიისა და ტუქსიკომანიის წინააღმდეგ ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზისა და სასამართლო ექსპერტიზის განხორციელების გზით; ფარმაცოთერაპიის პროგნოზირებას; ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციას.

პროგრამის ფარგლებში იგეგმება კვლევითი ნაშრომის მომზადება, რომელიც დაფუძნებულია ფარმაციაში მოქმედ ყველა აქტუალურ და მნიშვნელოვან ანალიზსა და მეთოდოლოგიურ მიდგომაზე.

პროგრამის მიზნები და შესაბამისად სწავლის შედეგები პირდაპირ კავშირშია დასაქმების ბაზართან. რასაც ასევე ადასტურებს მტკიცებულებებს სახით წარმოდგენილი მემორანდუმები მსხვილ ფარმაცო-ტექნოლოგიურ მწარმოებლებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 3);
- ✓ უნივერსიტეტის მისია;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

<ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი, გამომდინარეობს რა პროგრამის მიზნებიდან, უშუალო კავშირშია უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებთან. შესაბამისად, სწავლის შედეგები ასახულია – ფარმაცევტული ანალიზის მაგისტრის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებულ სამ კომპეტენციაში: ცოდნა-გაცნობიერება, უნარი და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.</p> <p>ცოდნის კომპეტენციაში მოაზრებულია, <i>კურსდამთავრებულს შეუძლია: სტანდარტიზაციისა და ანალიზის მეთოდების, რომლითაც მუშავდება სამკურნალო სუბსტანციები, წამლის ფორმები, ისევე როგორც სამკურნალო მცენარეები, ფიტოპრეპარატები, დეტალური განმარტება; სისტემურად აყალიბებს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდებს; აღწეროს მცენარეული ნედლეულიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფის თეორია; განმარტავს სამკურნალო საშუალებათა ფარმაკოკინეტიკას და ასახელებს ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციის თეორიულ და იურიდიულ საფუძვლებს. ცოდნა-გაცნობიერების რუბრიკა არ არის ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების გაზომვადი კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც უნდა ჩაიცვალოს.</i></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა კურსდამთავრებულს გამოუმუშავებს უნარების ფართო სპექტრს,</p>

როგორცაა: სამკურნალო მცენარეების, წამლის ფორმების სტანდარტიზაციისა და ხარისხის შეფასების; ნედლეულიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფას; ფარმაკოლოგიური პარამეტრების განსაზღვრის; ქიმიური ექსპერტიზის.

პროგრამა ასევე კურსდამთავრებულს უღრმავებს პასუხისმგებლობის და დამოუკიდებლობის ხარისხს პროფესიული განვითარების მიზნით სწავლის საჭიროებების განსაზღვრისა და მისი დამოუკიდებლად დაგეგმვის თვალსაზრისით, როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მუშაობის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (დანართი 4);
- ✓ თსსუ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის ანგარიში;

რეკომენდაციები:

- ✓ სწავლის შედეგების ქვერუბრიკა *ცოდნა-გაცნობიერება* ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მეშვიდე დონის შესაბამისი გაზომვადი კრიტერიუმების საშუალებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.

პროგრამაზე დაშვება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით მაგისტრატურის შესახებ (თსსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებები: №24/5, 7.05.2012, №24/3, 15.05.2017):

- მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირს;

- სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვებისთვის აუცილებელია საერთო სამაგისტრო გამოცდის (A ტესტი) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი გამოცდების ჩაბარება სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (50%+1-იანი ზღვარის გადალახვით). შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები ტარდება თსსუ-ის საგამოცდო ცენტრში, ტესტური ფორმით; გამოცდა სპეციალობაში მოიცავს 3 პროფილურ სასწავლო კურსს: ფარმაკოგნოზიას, ფარმაცევტული ქიმიასა და ტოქსიკოლოგიურ ქიმიას, რომლებიც შეისწავლება საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში.

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ მაგისტრანტობის იმ კანდიდატებს, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადალახეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი საერთო სამაგისტრო გამოცდაში;

<p>- მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხორციელდება წინასწარ გამოცხადებული მისაღები კონტიგენტის ფარგლებში, კონკურსის წესით;</p> <p>- მობილობის წესით დაშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობით და თსსუ-ის რეგულაციების შესაბამისად.</p> <p>ფარმაცევტული ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა გამჭვირვალე, სამართალიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია თავსდება თსსუ-ის ვებ გვერდზე: www.tsmu.edu.ge</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>✓ ფარმაცევტული ანალიზის სამაგისტრო პროგრამა (დანართი 3);</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p> <p>○</p>
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ ფარმაცევტული ანალიზის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს და აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად; პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასრულებლად საჭირო დრო;

პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელია (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. მოიცავს ძირითად სასწავლო კურსებს - 50 კრედიტი, პროფესიულ პრაქტიკას - 30 კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსებს - 10 კრედიტი და კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომს) - 30 კრედიტი. 1 კრედიტი = 30 სთ.

პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს ფარმაკოპეულ, ტოქსიკოლოგიურ, ფარმაკოგნოსტულ და ფარმაკოკინეტიკულ ანალიზში, სამკურნალო საშუალებათა სტანდარტიზაციაში თანამედროვე სიახლეებისა და კვლევის ახალი მეთოდების სწავლებას. პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები მაგისტრანტს საშუალებას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა მისი ინტერესების ფარგლებში.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი არის ლოგიკურად და თანამიმდევრულად დალაგებული.

სამაგისტრო პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებულია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია ღია და გამჭვირვალეა. ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს პროგრამას, მის სტრუქტურას და დამკვეთის წინაპირობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ სამაგისტრო პროგრამა „ფარმაცევტული ანალიზი“ (დანართი 3)
- ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 4)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა „ფარმაცევტული ანალიზი“-ს სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სპეციალური დისციპლინების შესწავლას. ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა

(საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, რაც ასახულია სილაბუსებში. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც აღწერილია სილაბუსებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დარგობრივი სილაბუსების სწავლის შედეგები სამ კომპეტენციაზეა გადაწყობილი, მაგრამ ცოდნის ნაწილი დასაკორექტირებელია აქტიური ზმნების აწმყო დროში. თითქმის ყველა სილაბუსში ვხვდებით ზმნებს: *იცის, ფლობს, აქვს*. ბუნდოვანია როგორ ზომავენ სწავლის შედეგს ?

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ფარმაციის დარგის სხვადასხვა მიმართულების თანამედროვე სამეცნიერო კვლევებზე, გამოცდილებასა და მიღწევებზე.

თსსუ-ის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს „ფარმაცევტული ანალიზის“ მაგისტრანტებისთვის საჭირო ბეჭდურ და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს; ელექტრონულ სალექციო მასალას და „ჰენდაუთებს“. თსსუ-ის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კორექტურას ექვემდებარება უცხოური ენის სასწავლო კურსის სილაბუსი. პირველ რიგში სასურველია სასწავლო კურსს ეწოდოს დარგობრივი უცხოური ენა (ქართული ვერსია „სპეციალური უცხოური ენა“ ინგლისურის კალკია, ტერმინოლოგიურად ამ ტიპის სასწავლო კურსები სხვადასხვა დარგებში იქნება შეთავაზებული, ამდენად, მათ ტექსტის სახეობის ლინგვისტიკის მკვლევარები უწოდებენ *დარგობრივ უცხოურ ენას*. სწავლის შედეგები უნდა გაიწეროს უცხოური ენების სწავლისა და სწავლების ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი დონეებისა და შემადგენელი კომპეტენციების მიხედვით. ამასთან სწავლის შედეგების ცოდნის კომპეტენციები უნდა აღიწეროს უმაღლესი განათლების მე-7 დონის აღმწერის შესაბამისად.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სამაგისტრო პროგრამა „ფარმაცევტული ანალიზი“ (დანართი 3) ✓ სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი 4) ✓ თსსუ-ის ბიბლიოთეკის ფონდი
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მოვიდეს უცხოური ენის სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სასურველია პროგრამაში მითითებული იყოს პლაგიატის აღმოფხვრასთან დაკავშირებული საკითხებები
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თსსუ-ს სამაგისტრო პროგრამა „ფარმაცევტული ანალიზი“ უზრუნველყოფს მაგისტრანტის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის ფაკულტეტი მოქმედი მემორანდუმების ფარგლებში, აქტიურად თანამშრომლობს ქართული ფარმაცევტული საწარმო - GMP-ის წამლის ხარისხის ლაბორატორიასთან, წამლის საგამოცდო ლაბორატორია „გლობალტესტთან“, ლევან</p>

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ სამმართველოსთან და იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტთან, სადაც მაგისტრატურის სტუდენტები ეუფლებიან პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკულ ნაწილს და ერთვებიან კვლევით პროექტებში.

პრაქტიკის გავლის შემდეგ ფარმაცევტული ანალიზის მაგისტრი დამოუკიდებლად შეძლებს ფარმაცოქიმიური, ფარმაცოგნოსტული, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური და ფარმაცოქინეტიკური ანალიზის მონაცემთა დამუშავებას და სათანადო დასკვნის გაკეთებას ახლადშექმნილი და ფარმაცევტულ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული სამკურნალო სუბსტანციის ან წამლის ფორმის ხარისხის და ვარგისობის შესახებ. სასამართლო-ქიმიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ნიმუშის თვისებრივ-რაოდენობრივი შემადგენლობის შესახებ, ფარმაცოთერაპიული რეჟიმის ოპტიმიზაციის შესახებ, სამკურნალო მცენარეების, მცენარეული ნედლეულის და ფიტოპრეპარატების ხარისხის და ვარგისობის შესახებ.

მაგისტრი შეძლებს აწარმოოს პროფესიულ თემებზე დისკუსია/დებატები, წამოჭრილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის გადაცემა, საკუთარი პოზიციის დაცვას, პროფესიული მასალის მოძიებას და პრეზენტაციის გაკეთებას კოლეგებისა და დაინტერესებულ პირთათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე. ფარმაცევტული ანალიზის მაგისტრი დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შეძლებს პრიორიტეტის განსაზღვრას სხვა და სხვა ანალიზის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (დანართი 7)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ს სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები, შეესაბამება კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას.

თეორიული სწავლება მიმდინარეობს პრაქტიკულ საქმიანობასთან კოორდინირებულად.

სწავლება/სწავლის პროცესში პროგრამის განხორციელების დროს სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები.

მაგისტრანტის პრაქტიკული საქმიანობა გულისხმობს მის აქტიურ ჩართულობას პრაქტიკულ მუშაობაში პროფესიული პრაქტიკის ბაზებზე, სადაც პრაქტიკული უნარების დემონსტრირება ხორციელდება კვალიფიციური პერსონალის ზედამხედველობით.

კვლევითი კომპონენტი გულისხმობს მაგისტრანტის მიერ საკვლევო მასალის მოძიებას, შეგროვებას, მის სწორ ინტერპრეტაციას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას. რეფერატების მომზადება/პრეზენტაცია გამოავლენს მაგისტრანტთა თეორიულ უნარებს, რაც სამაგისტრო პროგრამის დაძლევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ამგვარად, კვლევითი კომპონენტის შესრულების შედეგად მაგისტრანტს: გამოუმუშავდება სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და კომპეტენცია (სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება, ჩართულობა ჯგუფურ და დამოუკიდებელ კვლევებში, შედეგების ანალიზი და პრეზენტაცია). ხოლო, რაც შეეხება დამოუკიდებელ მუშაობას იგულისხმება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების ათვისებისათვის დახარჯულ დრო და შრომა (სამუშაო დრო).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ სამაგისტრო პროგრამა „ფარმაცევტული ანალიზი“ (დანართი 3)
- ✓ სილაბუსები (დანართი 4);

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
